პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 მარტი, კვირა, 1987 წ.
№ 62 (9473) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჭაბუკ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი

დაიხსომეთ ეს გვარი!

ყველა საერთაშორისო ტურნირი, მით უფრო, თუ მასში მოსწავლე სპორტსმენები მონაწილეობენ, ალბათ ასე უნდა ტარდებოდეს. შეჯიბრების მიზანი არ არის მხოლოდ გამარჯვებულთა გამოვლენა. საასპარეზოდ ჩამოსული სპორტსმენები უნდა გაეცნონ ქვეყანას, ხალხს, მის ყოფა-ცხოვრებას, კულტურას. სტუმარი შთაბეჭდილებებით სავსე უნდა დაბრუნდეს შინ და ამ ქალაქში ხელახლა ჩამოსვლა ნატვრაად გადაექცეს.

მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირს ძიუდოში ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზზე, რომელიც გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო, ამ მხრივ დასამახსოვრებელი სავიზიტო ბარათი ჰქონდა. ბულგარეთის, უნგრეთის, იტალიის, პოლონეთის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (არაფერს ვამბობთ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებზე) მოსწავლე ძიუდოისტები მოჯადოებული შესცქეროდნენ ლამაზ თეატრალიზებულ სანახაობას, რომელიც საზეიმო გახსნის ცერემონიალის შემდეგ გაიმართა. საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალურმა რესპუბლიკურმა სასპორტო სკოლამ, რომელიც ამ შეჯიბრების ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი იყო, დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთა. მოსწავლე ძიუდოისტებს საქართველოს დედაქალაქში გატარებული დღეები დიდხანს ემახსოვრებათ.

ანზორ კიკნაძის პირველი მემორიალის შემდეგ ჭაბუკთა ძიუდოში ბევრი რამ შეიცვალა. გაჩნდნენ ახალი ტალანტები, შესამჩნევად გაიზარდა მონაწილეთა ოსტატობის დონე და აქედანი გამომდინარე ცალკეული შეხვედრებიც სანახაობრივად უფრო ლამაზი გახ-

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ხახალეიშვილი.

საქართველოს სპორტსახკომში

როგორ ემზადებიან რესპუბლიკის ნაკრები გუნდები სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის და სსრ კავშირის ხალხთა X სპარტაკიადისთვის, როგორია პროგნოზები? ამჯერად ძირითადად ეს საკითხები განიხილეს კოლეგიის სხდომაზე. დღის წესრიგში იყო მძლეოსნობა, წყალბურთი, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, მხატვრული ტანვარჯიში და ძალოსნობა. კოლეგიამ უურადღება გაამახვილა გადასაჭრელ პრობლემებზე, მკაცრად მოსთხოვა ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელებს და შესაბამის სახეობებში სპორტსახკომის პასუხისმგებელ მუშაკებს დროულად აღმოფხვრან ნაკლოვანებები, ამასთან პროგნოზირებისას აუცილებლად გაითვალისწინონ წინავლის მთელი შესაძლებლობები და რეზერვები, უთუოდ უზრუნველყონ დაგეგმილის მიღწევა.

* * *

კოლეგიამ ამავე სხდომაზე გააანალიზა ფეხბურთში საქართველოს 1987 წლის ჩემპიონატის პირველი სამი ტურის შეხვედრების შედეგები. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ არც ერთი დარღვევისა და უდისციპლინობის ფაქტები არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე. დღემდე ჩატარებულ მატჩებში კვლავ იჩინა თავი უხეშმა დარღვევებმა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადგილებზე მოისუსტებს აღმზრდელობითი მუშაობა. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების ვრცელი შინაარსი ცალკე გამოქვეყნდება.

განიხილეს აგრეთვე „დინამოს" ნორჩ კალათბურთელთა სპორტული სკოლის მუშაობის საკითხი. სკოლა, როგორც კოლეგიაზე აღინიშნა, საიმედო რეზერვს უზრდის ჩვენს კალათბურთს. ახლო მომავალში საჭიროა განმტკიცდეს სკოლის მატერიალურ-სპორტული ბაზა.

* * *

რესპუბლიკის სპორტული ბაზების გაფორმება ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, იგრძნობა პროვინციალიზმი, შაბლონი, დაბალია ესთეტიკური დონე. ამ საკითხზე მიღებულია საგანგებო დადგენილება.

კოლეგიამ განიხილა აგრეთვე რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის პროცესებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

მოახლოვდა ნახევარფინალი

დასასრულს უახლოვდება სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გუშინ თბილისის ცირკის სარბიელზე გაიმართა ბოლო მეოთხედფინალური შეხვედრები. ციხისუბნელებმა (გორი) ანგარიშით 6:3 დაამარცხეს ძველი რუსთავის გუნდი, მარტყოფელებმა (გარდაბანი) კი დაძაბულ ბრძოლაში მოუგეს ხოვლელ (კასპი) ფალავნებს — 5:4.

4 აპრილს გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრები. მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: ვაყა (ხაშური) — ქისტაური (ახმეტა), ციხისუბანი (გორი) — მარტყოფი (გარდაბანი).

თბილისში გრძელდება მოსწავლეთა ტრადიციული რესპუბლიკური პირველობა ტანვარჯიშში „მართვეს" პრიზზე. სურათზე თქვენ ხედავთ ახპარეზობის უველაზე ნორჩ მონაწილეს ჭუთაისელ მაია ყორეოლიანს.

SOS

ინციდენტი, რომლის შესახებაც აქ უნდა გიამბოთ, გუშინ თბილისის ცირკში მოხდა. ცირკი, როგორც იცით, ქართულ ჭიდაობაში სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკურ პირველობას მასპინძლობს. გუშინ, ნახევარფინალური შეხვედრების დღეს, აქ განსაკუთრებით ბევრი მაყურებელი მოვიდა. გულშემატკივრისათვის საკუთარი გუნდის ქომაგობა და გამხნევება ვის დაუშლია, მაგრამ რომ იტყვიან, ყველაფერს ხაზღვარი აქვს. მარტყოფისა (გარდაბანი) და ხოვლეს (კასპი) ფალავანთა შეხვედრების დროს ორივე გუნდის გულშემატკივრები მეტისმეტად აქტიურობდნენ და მსაჯების თითქმის ყველა გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ (სხვათა შორის, მათ არც გუნდების მწვრთნელები და წარმომადგენლები „უდებდნენ ტოლს")... ერთ-ერთი ორთაბრძოლა ახალი დაწყებული იყო, როცა ხალიჩაზე შემოიჭრა მარტყოფელთა „გულშემატკივარი" და შუამავალ მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მძლიციის მუშაკებმა ძლივს დააშოშმინეს ხულიგანი. ეს აღმაშფოთებელი ფაქტი არამც და არამც არ უნდა დარჩეს უმეცრესი რეაგირების გარეშე.

პასუხს გარდაბნისა და კასპის რაიონების კომპეტენტური ორგანიზაციებიდან ველით.

ქართველი მხედრები მეორე ადგილზე

ლატვიის ქალაქ გრობინიაში გამართულ მოსწავლე ცხენოსანთა ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ბელორუსიის, ესტონეთის, ლენინგრადის, ლატვიის (ორი) და საქართველოს სპორტსკოლების ნაკრები გუნდები. შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზეს საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური საცხენოსნო სპორტული სკოლის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს და მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულ ლატვიის პირველ გუნდს. მესამე ადგილზე მასპინძელთა მეორე გუნდი გავიდა.

ოქროს მედალი — ქუთაისელ მოკრივეს

ირკუტსკში გამართულ იუნიორ მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს ქართველმა მოკრივეებმა.

71 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა ქუთაისელმა ბურევესტნიკელმა ჯამბულად უუფარაძემ. თბილისელი ხვიჩა სეთურიძე მესამე ადგილზე გავიდა.

ჭუთაისის სპორტულ ბაზებზე ეწყობა მოძრავი თამაშების საკავშირო კვირეულის დასკვნითი შეჯიბრებები და საჩვენებელი გამოსვლები. მასობრივ-გამოჯანსაღებელი ღონისძიებების გარდა დიდი უურადღება ეთმობა ხალხურ მოძრავ თამაშებს, განსაკუთრებით ლაბტს. ბევრი ახალგაზრდა, მოსწავლე თუ სტუდენტი პირველად ჩადგა ლაბტის წრეში.

ბევრი გულშემატკივარი გამოუჩნდა მოძრავ თამაშებს ს. კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებაში, საავტომობილო ქარხანაში, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, სამთო ტექნიკუმში...

ლენინის რაიონის ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს მეცხრეკლასელთა საოიოხო შეჯიბრებები მოძრავ თამაშებში, რაც თერთმეტ სახეობაში ტარდება. აქ ერთმანეთის გვერდით ასპარეზობენ მოსწავლეები, მშობლები, ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებლები, სკოლის დირექტორები. ასეთი შეხვედრები მომავალში ტრადიციული გახდება.

თამაზ კოლხიდელი.
„ლელოს" ხაკ. კორ.

ხურათზე: კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანების თანამშრომლები ლაბტს თამაშობენ.

ქალები ტატამზე

ქალთა ძიუდო პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში. აქტიურობს სპორტსაზოგადოება „დინამო", რომელიც ოთხ ახაკობრივ ჯგუფში ატარებს ცენტრალური საბჭოს პირველობას. ამ დღეებში კაუნასში იასპარეზეს 1967-68 წლებში დაბადებულმა დინამოელმა ძიუდოისტებმა.

ტატამზე გამოვიდა 2ოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 106 ძიუდოისტი გოგონა, მათ შორის საქართველოს 3 წარმომადგენელი. 56 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო თბილისელი ია ზღულაძე, რომელმაც ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო. ზღულაძემ ფინალში თანაგუნდელი ქეთევან ჩართოლანი დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელმა ფინალში გასავლელ შეხვედრაში აშკარა უპირატესობით სძლია საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, საკავშირო ნაკრების წევრს, კუიბიშეველ ზახაროვას. ორი ბრინჯაოს მედალი მიიღო მაია ქოჩაშვილმა, რომელმაც ჯერ 66 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა საპრიზო ადგილი, შემდეგ — აბსოლუტურ პირველობაში. დინამოელი გოგონები გოდერძი ველიჯანაშვილისა და ლელა ნებიერიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ.

გუშინ...

ჭაბუკ ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე კიდევ სამი ჩემპიონი გამოვლინდა: 83 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა საქართველოს გუნდის წევრმა ვეფხია ავალიანმა, 68 კგ კატეგორიაში მისმა თანაგუნდელმა ვლადიმერ დგებუაძემ, 75 კგ-ში კი სსრ კავშირის ნაკრების წევრმა იდრის ვანტაევმა.

კვირა 5 აპრილი

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე რამდენიმე წელია აპრილის პირველ კვირაში ეწყობა „ჯანმრთელობის დღე". სპორტულ ბაზებზე, საცხოვრებელი ადგილების მარტივი ტიპის მოედნებზე, კულტურისა და დასვენების პარკებში, საზოგადოებრივი დასვენებისა და თავშეყრის ადგილებში, ბუნების წიაღში მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობით იმართება მასობრივ-გამოჯანსაღებელი ღონისძიებები და ტურისტული ლაშქრობები. წელს ეს ღონისძიება ჩატარდება 5 აპრილს და მიეძღვნება ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს. (დაწვრილებით ამ ღონისძიების ორგანიზაციის შესახებ იხ. „ლელო" № 60, 1987 წ.).

ამბავი სიყვარულისა და სპორტისა

27 მარტს თეატრის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა რესპუბლიკის სახალხო არტისტს გიორგი გეგეჭკორს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს

● ბატონო გიორგი! თუ შეიძლება, პირველ ყოვლისა, ამ შეკითხვაზე გვიპასუხეთ: როგორ გრძნობთ თავს „ხაკუნის მატჩის“ — ანუ „ლელოს“ პრიზზე რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის შემდეგ?

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩვენი გუნდი სრულებით არ მომზადებულა ამ მატჩისთვის. თუმცა, გამოტეხა რად მინდა, განა თამაშს არ ეტყობოდა? ჩვენ ვშიშობდით, რომ ხანდაზმული ფეხბურთელები, ასეთები კი გუნდის წევრთა უმეტესობას შეადგენდნენ, წინასწარ წვრთნის შემდეგ საერთოდ ვეღარ ითამაშებდნენ. მაგრამ, მაინც მგონია, რომ მაყურებელი კმაყოფილი დარჩა. არც მოველოდით, თუ სრული ანშლაგი იქნებოდა. ამბობენ, გასასვლელებიც კი ხალხით იყო გაჭედილიო.

● ნამდვილად ასე იყო. თქვენ არ შეგინიშნავთ?

— ო, არა, სად მეცალა. მე თამაშით გახლდით დაკავებული. მეტოქეებმა ჩვენზე ოცი-ოცდაათი წლით ახალგაზრდები გამოიყვანეს და მათი დამარცხება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. კახი კავსაძემ მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ჩვენი საერთო აზრი ამ სიტყვებით გამოხატა: „ნეტა ცოცხალი გამოვიდოდე მოედნიდან და სხვას აღარ დავეძებ“.

● მაგრამ თქვენ მეტად ნიჭიერი ფეხბურთელი აღმოჩნდით. საგანგებო პრიზიც კი მიიღეთ: „უველაზე სოლიდურ მოთამაშეს“.

— თუ ასეთი მატჩები მომავალშიც ჩატარდა, სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას, რა ფასადაც უნდა დამიჯდეს. მაგრამ ჩვენ წინასწარ უნდა მოვილაპარაკოთ, რომ ასეთ შეხვედრებში უპირატესობა თეატრალიზებას უნდა მიენიჭოს. ადა, ჩვენგან „ნამდვილი“ ფეხბურთის თამაში, ცხადია, სასაცილოდ არავის ეყოფა.

● ესე იგი, თქვენ არ უარყოფთ, რომ თეატრისა და სპორტის კავშირი არათუ შესაძლებელია, მეტად საინტერესოც არის. მაგრამ რუსთაველის თეატრის რეპერტუარში ერთი სპექტაკლიც არ არის ეგრეთ წოდებულ „სპორტულ“ თემაზე. ცხადია, ყოველი სპექტაკლი, ექიმებზე იქნება ის, მეშახტეებზე თუ სპორტსმენებზე, ზოგად, ყველა პროფესიისა და ყველა ასაკის ადამიანებისთვის საინტერესო, ამაღელვებელ პრობლემებს ეხება. მაგრამ მაინც, ჩვენი აზრით, სპორტი მეტ ყურადღებას იმსახურებს თეატრის მხრიდან...

— ჩვენი თეატრის რეპერტუარში წლების მანძილზე იყო სპექტაკლი „ამბავი სიყვარულისა“ — კიტა ბუაჩიძის პიესის მიხედვით. სპექტაკლი დადგა მიხეილ თუმანიშვილმა, გააფორმა მხატვარმა ოთარ ლითანიშვილმა, მუსიკა კი ბიძინა კვერნაძემ დაწერა. მთავარი სიუჟეტური ხაზი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისა და მასწავლებლების ურთიერთობის ფონზე ვითარდებოდა. პედაგოგი, მეცნიერი მუშაკი ექვთიმე ქათამაძეს, რომლის როლსაც ვასრულებდი, მთლიანად მეცნიერებისა და



ახალგაზრდობისა ბრძოლებში იყო გადაგორდნილი. წუთი დავისუფალი არ რჩებოდა. არც საკუთარი ბინა ჰქონდა ამ კაცს, არც საკუთარი ცხოვრება. მაგრამ აი, მის ცხოვრებაში სიყვარული შეიჭრა... ეს სპექტაკლი ძალიან მოსწონდა მაყურებელს, ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე ვთამაშობდით. მონაწილეობდნენ მედეა ჩახავა, სალომე ყანჩელი, ეკატერინე ვეჩნაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კოტე მახარაძე, ბადრი კობახიძე, კარლო საკანდელიძე, შერაბ გეგეჭკორი... იყო საგანგებოდ ეროსი მანჯგალაძისთვის შექმნილი როლიც — მისი გმირი სპორტული კომენტატორი გახლდათ და მთელ სპექტაკლს წარმართავდა. აქაც, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა თეატრალურ წარმოდგენაში, ზოგიერთი პასაჟი სტილიზებული იყო, განზოგადებული. გროტესკამდე მისული. მაგალითად, ჩემს ექვთიმე ქათამაძეს, როცა გაიგო, ბინას მაძლევენო... გული წაუვიდა! ამასთან დაკავშირებით თეატრში წერილი გამოგვიგზავნეს: „ეს სპორტსმენების გაშარჟებაა. განა გოგი გეგეჭკორს წაუვა გული, ბინა რომ მრიოლს?“ მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ თეატრი, მიუხედავად ცხოვრებასთან სიახლოვისა, მაინც განსხვავდება მისგან...

● ნუთუ ეს ერთი წერილი გახდა მიზეზი ქართული თეატრების ახეთი ხანგრძლივი დუმილისა, როცა საქმე „სპორტულ“ თემას ეხება? ამ კატეგორიის სპექტაკლებიდან მე დღეს შემიძლია გავიხსენო მხოლოდ „მეკარე“ მუსკომედიის თეატრში, „ფეოლა“ — მარჯანიშვილის თეატრში. მაგრამ ეს სპექტაკლები ჩვენს თაობას არ ახსოვს — ისინი ხომ ორი-სამი ათეული წლის წინ იდგმებოდა.

— აი, ხედავთ? თეატრის საერთაშორისო დღეს თქვენგან საყვედურიც მივიღე...

● არა, საყვედური რატომ, მხოლოდ ჩვენს სურვილს გიზიარებთ.

— მაშინ მე ჩემს მომავალ გეგმებს გაგაცნობთ. ერთი აზრი მიტრიალებს თავში, თუმცა, ჯერ კიდევ ვერ ჩამოვაყალიბე საბოლოოდ. მეგობრული ურთიერთობა მაქვს ჩვენს შესანიშნავ მწერალ ნოდარ წულეისკირთან. მან დაწერა ერთი მოთხრობა — „ციცერონა“. ამ მოთხრობაში ნაჩვენებია დაწესებულება, სადაც ყველა თანამშრომელი ფეხბურთის გულშემატკივარია, ასევე გულშემატკივარია მთავარი გმირი ვახოც, მაგრამ არა მარტო ფეხბურთისა, არამედ საერთოდ, ყველაფრისა. ყველაფერი მას ეხება, ყველაფერში ის უნდა ჩაერიოს, ყველაფერზე იმას შესტკივა გული. მაგრამ, საითაც უნდა წავიდეს, ყველგან ხიფათი და კურიოზი ელის. ერთხელ მოსწყინდება ამგვარი ცხოვრება და გადაწყვეტს ღარაფერში ჩაერიოს. მაგრამ აი, მოულოდნელად მდინარის პირიდან ესმის ყვირილი: „არიქა, უშველეთ, არიქა, იხრჩობა...“ ხედავს, არავინ არ ინძრევა და... ცხადია, თვითონ გადაეშვება წყალში განწირული ქალის გადასარჩენად. მაგრამ ქალი, როგორც კი გონს მოვა, ერთ ვაიუშველელს ატეხს: „რა შენი საქმე იყო, ვინ გთხოვა, გადამარჩინეო!“ აი, ასეთ კაცს არავინ აფასებს. ციცერონას კი იმიტომ ეძახიან, რომ ძალიან უყვარს მსჯელობა, განსაკუთრებით საფეხბურთო თემაზე. ამ საკითხებში ის დიდ ავტორიტეტად ითვლება. ერთხელ მეგობარი გულშემატკივრები გამოცდას უწყობენ: თანამმდევრობით ჩამოთვალე თბილისის „დინამოს“ 1936 წლის მთელი შემადგენლობაო. ვახოც მაშინვე, სხაპასხუპით ჩამოთვლის. გულშემატკივრები ხელში აიტაცებენ... მე და ნოდარ წულეისკირი ვაპირებთ, აი, ეს პიესა შევთავაზოთ დასადგმელად რუსთაველის თეატრს. ასე რომ, სპორტს ჩვენ ისევ დავუბრუნდებით.

— გმადლობთ, ძალიან დაგვაიმედეთ. გისურვებთ თქვენც და თქვენი სახით ქართული თეატრის ყველა მსახიობსაც ახალ შემოქმედებით წარმატებებს, აგრეთვე კიდევ უფრო მტკიცე მეგობრობას სპორტთან — როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში.

ინტერვიუ ჩამოართვა
პეპი ბოჭორიშვილმა.



ალბომი არქიტექტორის მაგიდაზე

წითელი ბარათი ბიუროკრატიზმს!

საწერ მაგიდაზე დიდი, მოვარდისფრო ალბომი იდო, გარეკანზე ლამაზად გამოყვანილი ასოებით: „ქუთაისის კომუნალური მეურნეობის განყოფილების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიურო. დაკვეთა — ფეხბურთის სპორტული სკოლა“. ალბომი სახელმწიფო დაწესებულებაში სტუმრად მისული კაცის სიფრთხილით გადავშალე, პირველივე ფურცლებზე ფაქიზად შესრულებული ნახაზის თვალის შევლებისთანავე მივხვდი, რომ იგი მომავალი სპორტსკოლის პროექტი იყო, რასაც ბიუროს თანამშრომლების მ. ბიბილეიშვილის, გ. მეძმარიაშვილის, გ. ბერძენლის, რ. ვახტანგაძისა და მ. ჭლიკაძის ხელმოწერაც ადასტურებდა.

— ეს მარტო საფეხბურთო სპორტსკოლა კი არა, — ვთქვი მასპინძელთა გასაგონად, — მთელი კომპლექსი ყოფილა, საცურაო აუზით, დარბაზით...

— თქვენ მაგ პროექტის თაობაზე მობრძანდით ბატონო? — შემაწყვეტინა ერთ-ერთმა, რომელიც გაფაციცებული დაჰყურებდა შაშის დაფას (აკი მითხრეს, შესვენების დროს საპროექტოს თანამშრომლები სპორტის სახეობებიდან რუსულ შაშს ამჯობინებენო).

როდის ჩაიკრა ამ ალბომში პირველი ფურცელი?

1985 წლის აპრილში ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება განათლების განყოფილებასთან არსებული ფეხბურთის სპორტული სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ განათლების განყოფილების ბალანსზე მყოფი ფეხბურთის სპორტული სკოლის მოედანი და სამეურნეო შენობა, 1960 მანეთი სახალანსო ღირებულებით, ბალანსიდან ბალანსზე უნდა გადაეცეს მოტობლოკების ქარხანას. მოტობლოკების ქარხნის დირექციამ კი უახლოეს დროში უზრუნველყოს სპორტული კომპლექსის საპროექტო სამუშაოების დამთავრება, თანაც სამშენებლო სამუშაოები დაიწყოს დროულად და ხარისხიანად. გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება დაევალოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. დ. წერეთელს და ა. შ. გადაწყვეტილებას ხელს აწერენ აღმასკომის აღმასკომის აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ხაზარაძე და მდივანი გ. ფაჩუაშვილი.

ქუთაისის მოტობლოკების ქარხანამ გამოყო საჭირო თანხა კაპიტალური რემონტის ფონდიდან.

ქალაქის კომუნალური მეურნეობის განყოფილების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიურომ მიიღო შეკვეთა და ნახაზზე მუშაობას შეუდგა.

— პროექტი მზადაა.—ასე მითხრეს საპროექტოში. — ირწმუნება მოტობლოკების ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორი მ. ხვისტანი. — ახლა აღმასკომის ჩარევაა საჭირო, საქმე რომ დაიძრას.

თანხა გვაქვს—თქვა ქარხნის დირექტორმა ა. ნაცვლიშვილმა — მხოლოდ „ღონიერი“ სამშენებლო ორგანიზაცია გვჭირდება, რადგან სპორტკომპლექსის ასაგებად დიდი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი.

კარგი სპორტსკომპლექსის აგება მხოლოდ ძლიერ ორგანიზაციას, მაგალითად, სამშენებლო ტრესტს ან კომბინატს უნდა დაევალოს და არა სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს — დასძენს სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე თ. ერემეიშვილი — თუ ზემდგომი ინსტანციები დაინტერესდებიან, ეს საქმე მოგვარდება.

დიახ, საქმეს დაჩქარება სჭირდება, ჯერჯერობით 1985 წლის აპრილიდან 1987 წლის აპრილამდე კომპლექსის ასაშენებლად გამოყოფილ ტერიტორიაზე ერთი აგურიც არ მიუტანიათ. ის კი არა და, შესაძლოა ზოგიერთმა პასუხისმგებელმა პირმა ზემოთ ნახსენები „მოვარდისფრო ალბომის“ არსებობის შესახებ არაფერი იცოდეს.

საქმის გაჭიანურების მიზეზი გახლავთ დაუინტერესებლობა, გულგრილობა, პასიურობა. სპორტკომპლექსის მშენებლობა დღემდე რომ არ დაწყებულა, ამაში იმ ორგანიზაციების პასუხისმგებელ პირებს მიუძღვის ბრალი, ვისაც ამ საშვილიშვილო საქმის გაძღოლა ევალება. პირველ ყოვლისა მხედველობაში გვაქვს ქარხნის დირექცია, ცხადია, საქალაქო საბჭოს აღმასკომსაც მეტი დაინტერესება უნდა გამოეჩინა, რომ მიღებული გადაწყვეტილება შესრულებულიყო. მოჩვენებითი მზადყოფნა და პრობლემების მომიზეზება იქამდე მიგვიყვანს, რომ კომპლექსი ორი წლის შემდეგაც ისევ ალბომის ფურცლებზე დარჩება. დღეს, როცა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფიზკულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას, როცა ესოდენ ამაღლდა სპორტის სოციალური როლი, მიუტევებლად მიგვაჩნია დაგეგმილი კომპლექსის მშენებლობა სადმი უგულო დამოკიდებულება. საქმე ასე თუ წავიდა, ქუთაისის მოტობლოკების ქარხანას კომპლექსი კი არა, ერთი მარტივი სპორტული ნაგებობაც არ ექნება.

ეს არ უნდა მოხდეს.

• • •

— თქვენ ბრძანდებით მაგ პროექტის დამკვეთი? — გამიმეორეს კითხვა.

— არა ბატონო, ამას თავისი პატრონი ჰყავს — მივუგე მე.

ჰყავს კი?

ვახტანგ ნადირაძე.

სპორტული მეგობრობა მტკიცდება

საქართველოს სპორტსმენები ეთიოპიაში

ეთიოპიის დედაქალაქ, ადის-აბების ცენტრში ამ ცოტა ხნის წინათ დიდი და კომფორტაბელური სპორტდარბაზი გაიხსნა. ფრენბურთისა და კალთბურთის მოედნებზე გამოცდილი ოსტატების ხელმძღვანელობით სპორტის მოყვარულებიც ივარჯიშებენ.

იქვე, მწყობრში ჩადგა სასწავლო ცენტრი, რომელიც ფიზიკურად მასწავლებელთა ეროვნულ კადრებს მომზადებს. თავდაპირველად ცენტრი 60 გოგონასა და ჭაბუკს მოემსახურება, მერე კი მოვარჯიშეთა რაოდენობა ერთი-ორად გაიზრდება. სწავლების ვადა 10 თვე იქნება.

მანამდე კი ეთიოპიის სპორტსმენებს უცხოეთის ქვეყნებიდან დროებით ჩასული სპეციალისტები ავარჯიშებენ. მათ შორის არიან საბჭოთა მწვრთნელებიც. ადგილობრივ ველოსიპედისტებს, მაგალითად, უკვე 8 თვეა დუშანბელი სპეციალისტი ნიკოლოზ სკაკუნოვი წვრთნის. საბჭოთა სპეციალისტს აზფინ, იქაურ ახალგაზრდებს უყვართ სპორტი. ისინი უსიტყვოდ ასრულებენ ყველა მითითებას, ბევრს ვარჯიშობენ და ცდილობენ, რაც შეიძლება მოკლე დროში აიმაღლონ ოსტატობა.

მაგრამ ამ ურთულეს სახეობაში მარტო ბუნებრივი მონაცემებითა და მონდომებით მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვება ძნელია. უსათუოდ უნდა გაყვადეს გამოცდილი „სპარინგ-პარტნიორები“, რათა ტრასაზე შეჯიბრების დროს შექმნილ რთულ ტაქტიკურ სიტუაციებში კარგად გაერკვე. ამ მიზნით ეთიოპიაში ხშირად ჩადიან სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები. ერთობლივი წვრთნა ორთავე მხარისათვის სასარგებლოა.

ამას წინათ ადის-აბებაში სტუმრად იმყოფებოდა საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრები, რომელმაც ადგილობრივ სპორტსმენებთან ერთად რამდენიმე საწვრთნელი მეცადინეობა ჩაატარა, მერე კი შეჯიბრებებიც მიიღო მონაწილეობა.

პროგრამაში იყო: 80 კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა ქალაქის ცენტრში (რკალი ქალაქის სტადიონის გარეშემო) და ამავე მანძილზე გუნდური რბოლა.

ჯგუფურ შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ველოსიპედისტებმა გაიმარჯვეს. პირველი სამი ადგილი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა გენადი გოდუნოვმა, თემურ გიგოლაევმა და 16 წლის ვასილ დავიდენკომ დაიკავეს.

გუნდურ ასპარეზობაში სულ ხუთი კოლექტივი მონაწილეობდა — საქართველოს ნაკრები და ოთხი ადგილობრივი გუნდი. აქაც ჩვენმა ველოსიპედისტებმა იყოჩაღეს (გენადი გოდუნოვი, თემურ გიგოლაევი, ხვიჩა ბარბაქაძე და ნიკოლოზ კაკალაშვილი) — 1:47.30. მეორე ადგილზე გასული ეთიოპიის პირველი ნაკრები გამარჯვებულ გუნდს 2 წუთით ჩამორჩა.

ერთობლივ საწვრთნელ ვარჯიშს ჩვენი გუნდის მწვრთნელები ავთანდილ ხახიაური და ალექსანდრე რეშეტოვი ხელმძღვანელობდნენ. ადგილობრივ ველოსიპედისტთა ფიზიკურმა მომზადებამ საბჭოთა სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ტაქტიკური მომზადების მხრივ ისინი აშკარად მოიკოჭლებენ. არც არის გასაკვირი, ეთიოპიელ ველოსიპედისტებს ხომ გამოცდილება აკლიათ.

ნიკოლოზ სკაკუნოვის განცხადებით აქაურ სპორტსმენებს, რომლებიც გულმოდგინედ ემზადებიან აფრიკის თამაშებისთვის, საქართველოს ველოსიპედისტებთან შეხვედრამ ბევრი რამ შესძინა. მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ეთიოპიელები, სულ მალე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევენ. ამის საწინდარია მათი მონდომება და დაინტერესება. ველოსპორტის პოპულარობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. თავად განსაჯეთ, საქართველოსა და ეთიოპიის გუნდების შეჯიბრებას თითქმის მთელი ქალაქი, 150 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ასეთ აუდიტორიას ევროპის ნებისმიერი საველოსიპედო ცენტრი ინატრებდა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

პერსპექტივა მაინც საიმედო ჩანს

პირველი წრის შემდეგ

თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ირაკლი ჩხიკვაძე ახალი სპორტული სეზონის წინ იმედოვნებდა, რომ წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში გუნდი მეოთხე ადგილზე უკან არ უნდა წასულიყო. ამ განცხადების ქვეტექსტი იმასაც ნიშნავდა, რომ თბილისელები ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოლებდნენ, რასაც გულშემატკივრები აგერ უკვე 21 წელია ელიან.

მართლაც, წლევანდელი ჩემპიონატი თბილისელებმა ჩინებულად დაიწყეს. დამარცხდნენ მხოლოდ საქვეყნოდ აღიარებულ გუნდებთან, მოსკოვის „უნივერსიტეტთან“ და „დინამოსთან“, მაგრამ დამარცხებაც არის და დამარცხებაც. ქართველმა წყალბურთელებმა „უნივერსიტეტთან“ მთელი მატჩი თანაბარ, მწვავე ბრძოლაში ჩაატარეს და მინიმალური ანგარიშით წააგეს. რაც შეეხება მოსკოველ თანაკლუბელებთან შეხვედრას, მესამე პერიოდის მეორე ნახევრამდე ძნელი გამოსაცნობი იყო ვის დარჩებოდა გამარჯვება.

ერთი სიტყვით, თბილისელთა თამაშით ჩვენც კმაყოფილნი ვიყავით, გულშემატკივრებიც, თავად მოთამაშეებიც და მათი ხელმძღვანელებიც. როგორც ჩანს, წარმატებამ გუნდის წევრებს გული დაუმშვიდა. მართალია, ეს ყველა წყალბურთელზე არ ითქმის, მაგრამ მოგეხსენებათ, ერთი-ორი მოთამაშის ყურადღების მოდუნებაც საკმარისია იმისათვის, რომ გუნდის მამოძრავებელი მექანიზმი მოიშალოს.

ასე იყო თუ ისე, მესამე ტურში, რომელიც ლვოვში გაიმართა, თბილისელებმა ორი შეხვედრა წააგეს, და ერთი ფრედ დაამთავრეს, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე ცუდი მაჩვენებელია.

სხვათა შორის, გუნდის ერთ-ერთმა წევრმა მესამე ტურის დაწყებამდე გვითხრა, ლვოვში ისეთი შეხვედრები გველის, შესაძლოა ექვსივე ქულა ავიღოთ, ან თბილისში მთლად ცარიელ-ტარიელები დავბრუნდეთო.

თავად გუნდის ხელმძღვანელები ლვოვში 3 ქულის აღებას ვარაუდობდნენ, რაც სავსებით შესაძლებელი ჩანდა. ჩვენი აზრით, თბილისელებს 2 ქულა მაინც უნდა აღოთ. ვინ იცის. იქნებ მიეღწიაც



იდეაც მიზნისთვის. პირველი შეხვედრა მასპინძლებთან რომ არ ჰქონოდათ. თბილისელები ლვოველ თანაკლუბელებთან მინიმალური ანგარიშით დამარცხებამ აშკარად გატეხა ფსიქოლოგიურად. ჩვენი გუნდის წევრთა ერთი ნაწილი ამ მარცხს ძალზე მტკივნეულად განიცდიდა, რასაც შეუძლებელი იყო მომდევნო თამაშებზე გავლენა არ მოეხდინა.

ერთი სიტყვით, იმისი თქმა გვინდა, რომ თბილისელები ლვოველებთან დამარცხებას არ უნდა გაეტეხა.

მესამე ტურმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ თბილისელებს ფსიქოლოგიური მომზადება აკლიათ, მაგრამ ქართველ წყალბურთელთა მთავარი ნაკლი მაინც ის არის, რომ ისინი რიცხობრივ უპირატესობას ვერ იყენებენ, არადა, წყალბურთში გოლები უფრო ხშირად სწორედ ზედმეტი მოთამაშის წყალობით გადის. მაგალითისთვის შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენებთ ლვოვის „დინამოსთან“ შეხვედრას. ამ მატჩში ორივე კარში 25 ბურთი გავიდა. აქედან 23 ბურთი მეტოქეებმა რიცხობრივი უპირატესობის დროს გაიტანეს. ეს მატჩი ის იშვიათი გამონაკლისი იყო, როცა თბილისელები ზედმეტ მოთამაშეს კარგად იყენებდნენ.

ვიმეორებთ, თბილისელთა მთავარი ნაკლი ის არის, რომ ისინი რიცხობრივ უპირატესობას კარგად ვერ იყენებენ. კოლექტივში შეიცვალა თაობები, მწვრთნელები, მაგრამ ამ ხარვეზს არაფერი ეშველა.

ახლა საკავშირო ჩემპიონატში ზაფხულამდე არდადეგებია და თბილისელები ვარჯიშებზე ალბათ ზედმეტი მოთამაშის პრობლემის გადაჭრას დაუთმობენ ყურადღებას.

გულშემატკივრებს, რა თქმა უნდა, აინტერესებთ, პირველი წრის დამთავრების შემდეგ, რისი იმედი უნდა ჰქონდეთ თბილისელებს.

პირველი წრის ფინიშზე ჩვენმა წყალბურთელებმა, მართალია, საატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუარესეს, მაგრამ პერსპექტივა მაინც საიმედო ჩანს. საქმე ისაა, რომ დინამოელები მეორე წრის პირველ ტურში ხუთ შეხვედრას შინ ჩაატარებენ, შეხვდებიან იმ გუნდებს, ვისთანაც მოსკოვში 10-დან 8 ქულა აიღეს. საფიქრებელია, რომ საკუთარ სარბიელზე თბილისელები მეტსაც მიაღწევენ.

რაც შეეხება ლვოვის ჯგუფის მეტოქეებს, მათთან შეხვედრები ლენინგრადში გაიმართება, ჩვენს ბიჭებს რევანში სწყურიათ და, იმედია, ისინი მიზანს მიაღწევენ.

მანამდე კი, მანამდე ნაკლის გამოსასწორებლად დიდი მუშაობა — ხანგრძლივი, ნაყოფიერი ვარჯიში მართებთ. მწვრთნელს იმედი აქვს, რომ ჩვენი გუნდის ახალგაზრდა, უდავოდ პერსპექტიული წყალბურთელები ახლა მეტი მონდომებით ივარჯიშებენ და გუნდის გამოცდილ ვეტერანებს მხარს გაუსწორებენ.

ცნობისათვის: ლვოვის ტურის დამთავრებისთანავე თბილისის „დინამოს“ მეკარე გიორგაძე და კანდელაკი მოსკოვს გაემგზავრნენ. ორივე წყალბურთელი ქვეყნის ნაკრების წევრებთან ერთად შეკრებაზეა მიწვეული.

ავთანდილ გურასაშვილი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	11	10	1	0	119-77	21
„დინამო“ (ალმა-ათა)	11	8	1	2	104-82	17
„დინამო“ (ლვოვი)	11	7	2	2	117-101	16
„უნივერსიტეტი“ (მოსკოვი)	11	8	0	3	102-76	16
„დინამო“ (თბ.)	11	6	1	4	86-86	13
ცსკ ვმფ	11	6	1	4	95-82	13
კკფ (ბაქო)	11	5	0	6	101-108	10
„მოსკვიჩი“	11	4	1	6	78-85	9
„ლოკომოტივი“ (ხარკოვი)	11	2	2	7	70-94	6
„დინამო“ (კიევი)	11	1	3	7	89-104	5
კჩფ (სევას.)	11	2	1	8	72-91	5
„ბალტიკა“ (ლენინგრ.)	11	0	1	10	73-120	1

ჰაბუკთა საკავშირო პირველობა კალათბურთში

დღეს ფინიშია

ადვილი მისახვედრია ლიტველი ჰაბუკები როგორი გადაწყვეტილებით ჩამოვიდოდნენ თბილისის საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში საასპარეზოდ. მათი რესპუბლიკის უპირველესმა გუნდმა „ჟალგირისმა“ ხომ ამ დღეებში სენსაციური გამარჯვება მოიპოვა და ოქროს მედლები დაისაკუთრა. რა გასაკვირია, მათ უმცროს კოლეგებს თანატოლთა შორის უძლიერესის სახელის დამკვიდრება სურდეთ? დიახ, მათ რომ სერიოზული მიზანი აქვთ, ამაში ასპარეზობის პირველსავე დღეს დავრწმუნდით — ლიტველებმა დამჯერებლად სძლიეს უკრაინელ თანატოლებს — 75:58. მეორე დღეს ისინი მასპინძელთა გუნდის პირისპირ დადგნენ. უნდა ითქვას, რომ ორიოდე კვირის წინ ეს გუნდები აქვე, „ლელოს“ პრიზის საკავშირო გათამაშებაში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ მასპინძლებმა იმარჯვეს, მაგრამ ამჯერად ლიტველთა გუნდი ჩამოვიდა გაძლიერებული შემადგენლობით, რომლის ლიდერია სსრ კავშირის ჰაბუკთა ნაკრების წევრი კორნიშოვასი, რომელმაც ყველაზე მეტი საზრუნავი გაუჩინა თბილისელებს.

თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, რადგან ქართველმა სპორტსმენებმა დიდხანს ვერ შეძლეს სასტარტო მღელვარების დაძლევა. ისინი მხოლოდ ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ — 42:35. შესვენების შემდეგ სტუმრებმა ახალი ძალით შეუტიეს მეტოქეს. ბრძოლა გამწვავდა და ბარდამავალი უპირატესობით წარიმართა. შეხვედრის დასასრულს მაინც მასპინძლებმა იმარჯვეს — 65:61.

გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ: მოსკოვი — ლიტვა 58:60 (17:32), ყაზახეთი — უკრაინა 60:65 (31:35), საქართველო — ლენინგრადი 78:68 (38 — 37).

ტურნირი დღეს დამთავრდება.

ბ. უნგიაძე.

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგებზე

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში კვლავ ახმაურდა თბილისის სპორტკლუბ „ფეიქარის“ სტადიონი. აქ მიმდინარეობს საკავშირო ტურნირი, რომელშიც თბილისელ მოზარდებთან ერთად მოსკოველი. ტალინელი, ლენინგრადელი, ერევნელი და ლენინაკანელი ჰაბუკი ფეხბურთელები მონაწილეობენ.

ხურათზე: თბილისის 35-ე სკოლისა და „ფეიქრის“ ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის ორი მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

მოსკოვის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ლანჩხუთის „გურია“. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა პირველი ტაიმის მე-17 წუთზე ნ. სავიჩევის მიერ ლანჩხუთელთა კარში გატანილმა ერთადერთმა ბურთმა.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტი“ და ცსკა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

„სპორტპროგნოზი“: მე-14 ტირაჟის პროგრამა (4-7 აპრილი)

ამ ტირაჟში შეტანილია უმაღლესი და I ლიგის ფეხბურთელთა 50-ე საკავშირო ჩემპიონატების თამაშები

წყვილები		პროგნოზი		
1. „დინამო“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“	6.IV	80	10	10
2. „გურია“ — „ზენიტი“	6.IV	10	50	40
3. „დნეპრი“ — „სპარტაკი“	7.IV	20	40	40
4. „ტორპედო“ (მოსკოვი) — ცსკა	7.IV	40	50	10
5. „დინამო“ (თბილისი) — „ქაირათი“	7.IV	70	20	10
6. „არარატი“ — „დინამო“ (მინსკი)	7.IV	50	30	20
7. „ნეფთჩი“ — „ჟალგირისი“	7.IV	20	70	10
8. „ზარია“ (ვოროშ.) — „ლოკომოტივი“ (მოსკ.)	4.IV	30	60	10
9. „ტორპედო“ (ქუთ.) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	4.IV	70	20	10
10. „როტორი“ (ვოლ.) — „დაუგავა“ (რიგა)	4.IV	10	40	50
11. „ფახთაქორი“ (ტაშკ.) — „პამირი“ (დუშ.)	7.IV	60	20	20
12. „სპარტაკი“ (ორჯ.) — „გეოლოგი“ (ტიუმენი)	7.IV	70	20	10
13. „კოლოსი“ (ნიკ.) — „როსტსელმაში“ (როსტ.).	7.IV	30	40	30

დაიხსომეთ ეს გვარი!

დასასრული

და. ამაში ტურნირის პირველივე დღეს დავრწმუნდით. მძიმე წონის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში ქუთაისის 27-ე სკოლის მეცხრეკლასელმა მოსწავლემ დავით ხახალეიშვილმა გაიმარჯვა, იგი საერთაშორისო ტურნირის პირველი ჩემპიონია, მაგრამ როგორი ჩემპიონი?

თექვსმეტი წლის ტანმოსულ (სიმაღლე — 188 სანტიმეტრი, წონა — 107 კილოგრამი) დათოს თვალი სარბიელზე გამოსვლისთანავე დავადგეთ. გამართულად მიდიოდა მეტოქისკენ, არაფრის შიში არ ჰქონდა. ის იყო ბულგარელმა ს. პაელოვმა ილეთის ჩატარება მოინდომა, რომ ხახალეიშვილმა მოგვერდზე მოიგდო მეტოქე და ხალიჩას დაანარცხა. მაშინვე წამმზომს შევხედეთ. ისარი 1 წუთსა და 36 წამზე იყო გაქვავებული.

მის მეორე ორთაბრძოლის საცქერად უკვე საგანგებოდ მოვემზადეთ. გვიხდოდა კარგად გვენახა რა ილეთებს ხმარობდა. არაფერი გამოვიდა. ბრძოლა დაწყებული არც იყო, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი გ. რასულოვი ბეჭებზე გართხმული აღმოჩნდა. არადა, ბრძოლის დაწყებიდან მხოლოდ 13 (!) წამი იყო გასული.

ხეირიანად ვერც მესამე შეხვედრის ნახვა მოვასწარით, თუმცა კი გვეგონა ბრძოლა დიდხანს გაგრძელდებოდა. დინამოელი ე. ბურიაკი დათოზე მძიმე ჩანდა და ალბათ ამის გამო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას აპირებდა, მაგრამ დაახლოებით 58-ე წამზე ქუთაისელმა მოჭიდავემ მეტოქე სარბიელზე დაადგა და შებოჭა. სამი ბრძოლა, სამი წმინდა გამარჯვება, თანაც 2 წუთსა და 17 წამში.

ნახევარფინალში გასვლის წინ დათო კიდევ ერთ მეტოქეს მ. ვასილიევს შეებრძოლა (სსრ კავშირი) და მასაც (1 წუთსა და 46 წამში) მახრჩობელა ილეთით სძლია. ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო და მეტოქეებიც, ცხადია, გაფრთხილდნენ. მაგალითად, პროფკავშირების წარმომადგენელმა ი. პერტელსონმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ მეტოქის ანკესს არ წამოგებოდა და საწადელს მიაღწია კიდეც. მსაჯებმა გამარჯვება ქუთაისელ მოჭიდავეს მიანიჭეს, ოგრამ პერტელსონი იმითაც კმაყოფილი იყო, მეტოქეს 4 წუთს რომ გაუძლო.

ამასრბაში მეორე ჯგუფიდან ფინალისკენ გზა გაიკაფა ფიზიკურად ძლიერმა ფ. ხაიამ (გფრ), რომლის შეხვედრას ხახალეიშვილთან მაყურებელი ინტერესით მოელოდა. დათომ კი ისე სწრაფად „მოაგვარა“ საქმე სარბიელზე, რომ ტრიბუნებმა ვერ მოსვლა ვერც მოასწრო — მეშვიდე წამზე (!) ბრძოლა დამთავრებული იყო.

მძიმე წონაში საპრიზო ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. დ. ხახალეიშვილი (საქართველო), 2. ფ. ხაია (გფრ), 3. თ. რატიანი (საქართველო) და მ. ვასილიევი (სსრ კავშირი).

ცნობისათვის: დავით ხახალეიშვილი („დინამო“, ქუთაისი), სპორტის ოსტატი. დაიბადა 1971 წლის 27 თებერვალს ქუთაისში. წონა — 107 კგ, სიმაღლე—188 სმ. ქუთაისის 27-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე. მწვრთნელები: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ომარ მერაბიშვილი და ვეფხია ბალხანიშვილი. ძიუდოში მეცადინეობა 1979 წელს დაიწყო. პირველ წარმატებას 1985 წელს მიაღწია — რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა ჰაბუკთა შორის. მოგებული აქვს მოსწავლეთა სამი საკავშირო ტურნირი. შარშან ამავე შეჯიბრებაში III საპრიზო ადგილი დაიკავა. არის „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი. წლეულს მოსწავლეთა საკავშირო პირველობაში მეორე ადგილზე გავიდა.

ნოდარ გუგუშვილი.

გაკვეთილად გამოდგება

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 26 მარტი.

„შევარდენი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:18 (3:15).

„შევარდენი“: გვიანიშვილი; ლ. ვაშაძე, სალარაძე, კურატიშვილი, კალანდაძე; გარუჩავა, ჯანელიძე; ბერიაშვილი, ელიზბარაშვილი, კახეთელიძე, ალექსიძე, ბიძინაშვილი (გაგნიძე), კაპანაძე, გეგიძე, ზ. ლეუავა.

„ლოკომოტივი“: ბუგროვი; არტიომოვიჩი (რუდენკო), კოსტიუკი, ფირსოვი, დანილოვი; ი. ოვჩინიკოვი, პროკლოვი; კუზარევი (ნეხოროშევი), მალიკოვი, პრონინი (დუტიკოვი), ივანოვი, პლოტნიკოვი, ბარანკოვი, შარკოვი, კოსტენიჩი.

მსაჯი პრანას სლუეშნისი (ვილნიუსი).

გოლები: „შევარდენი“: 1 საჯარიმო (7, გარუჩავა); **„ლოკომოტივი“:** 2 დამიწება (11, კოსტიუკი; 17 ბარანკოვი), 2 რეალიზაცია და 2 საჯარიმო (29, 73) — ბუგროვი.

მიხეილ გარუჩავამ ზუსტად დაარტყა საჯარიმო და „შევარდენი“ თამაშის დაწყებისთანავე დააწინაურა — 3:0, მაგრამ ამას მოჰყვა თბილისელთა მცველის გვიანიშვილის შეცდომა (რეგბიში მცველის შეცდომა ფეხბურთში მეკარის შეცდომის ტოლფასია) და მოსკოველმა კოსტიუკმა „შევარდენის“ ჩათვლის მოედანზე დაამიწა ბურთი. მე-17 წუთზე მოსკოველებმა მეორედ გაარღვიეს მეტოქეთა დაცვის ხაზი (ბარანკოვი). რკინიგზელთა ბომბარდირმა ა. ბუგროვმა ორივეჯერ ზუსტად შეასრულა რეალიზაცია. მან კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა ამ თამაშში (პირველი და მეორე ტაიმის მიწურულს). ერთი სიტყვით, შეხვედრის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა. როცა გუნდებმა შეისვენეს ანგარიში იყო 15:3 მოსკოველთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში თბილისელები ეცადნენ თამაშში გარდატეხა შეეტანათ, მაგრამ მიზანს მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებში აღწევდნენ — თამაში ძირითადად გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. დაწინაურებული სტუმრები ფრთხილობდნენ, თბილისელთა შეცდომებს უდარაჯებდნენ, რომლებიც სამწუხაროდ, ხშირად ცდებოდნენ. დიახ, მარცხიანმა დასაწყისმა ისინი კალაპოტიდან ამოაგდო.

სასტარტო მატჩებში დამარცხება, რა თქმა უნდა, გულსატკენია, უმაღლესი ლიგის დებიუტანტებისთვის მარცხი ზოგჯერ გაკვეთილად გამოდგება. გამარჯვებისთვის შეუპოვარი ბრძოლაა საჭირო, გამოცდილ გუნდებთან პაექრობაში იოლად ფონს ვერავინ გავა, ასე რომ, გუნდს სიმხნევის შენარჩუნება და გამარჯვებისთვის თამამი ბრძოლა მართებს. გვჯერა, რომ „შევარდენი“ მომავალ მატჩებს უკეთესად ჩაატარებს.

გაბრიელ ბარჯაძე.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი





„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

უბრწყინვალესი სოლისტი

მიშელ პლატინი ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც „ფრანს ფუტბოლის“ მიერ დაწესებული „ოქროს ბურთი“ ზედიზედ სამჯერ დაიმსახურა. ფრანგული ყოველკვირეულის ტრადიციულ რეფერენდუმში ასევე სამჯერ გაიმარჯვა ჰოლანდიელმა იოჰან კრუიფმაც, მაგრამ საპატიო ჯილდოს ზედიზედ მოპოვება მანაც კი ვერ შეძლო.

ბუნებრივია, პლატინის პოპულარობა ფეხბურთის სამყაროში, განსაკუთრებით კი ჰოლანდიაში, უდიდესია. თაყვანისმცემლები მას ხშირად სწერენ წერილებს, სადაც მრავალადაა სხვადასხვა სახის შეკითხვებიც. ერთ-ერთი რვა წლის ბიჭუნა, მაგალითად, ბავშვური გულუბრყვილობითა და გულწრფელი აღფრთოვანებით ეკითხებოდა: „როგორ გახდით პლატინი?“ მართლაც, მოდით შევეცადოთ ქრონოლოგიურად მაინც აღვადგინოთ ამ ფენომენის ჩამოყალიბების პროცესი.

მიშელ პლატინი დაიბადა 1955 წლის 21 ივნისს ჟეფში. როგორც თავად იხსენებს, ფეხბურთის თამაში ქუჩაში დაიწყო. მისი აზრით, სწორედ ქუჩის ფეხბურთია უდიდესი ვირტუოზების ნამდვილი სამშობლო. მართლაც, ბევრმა შეუდარებელმა ოსტატმა ქუჩაში ბურთის დევნით აითვისა სხვადასხვა სახის ფინტი, დაეუფლა დრიბლინგის ხელოვნებას, ერთი სიტყვით, შეიძინა ყველა ის თვისება, რომელიც სხვებისგან გამოარჩევდა და ორიგინალობას სძენდა.

რაც შეეხება თვით პლატინის, მას ქუჩის ფეხბურთის იმპროვიზებული „ლექციების“ გარდა არც საკმაოდ კვალიფიციური სპეციალისტის გაკვეთილები მოჰკლებია. ეს სპეციალისტი იყო მიშელის პირველი მასწავლებელი — მამამისი ალფონს პლატინი, რომელიც „ნანსის“ სამოყვარულო გუნდს ავარჯიშებდა. ცხადია, ძისი ვაჟისთვის სწორედ „ნანსი“ იქცა პირველ კლუბად, სადაც მომავალი ვირტუოზი ვარსკვლავი პროფესიულ ფეხბურთს ეზიარა.

პლატინიმ „ნანსის“ ღირსება პირველად 18 წლისამ დაიცვა. თავის პირველ სეზონში (1972–1973) მან სულ ხუთ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ორჯერ აიღო მეტოქეთა კარი. იგი მომდევნო სეზონშიც ეპიზოდურად გამოდიოდა ძირითად შემადგენლობაში (8 მატჩი, 2 გოლი). იმ ჩემპიონატში „ნანსიმ“ წარუმატებლად იასპარეზა და პირველი დივიზიონი დატოვა. ჩემპიონატის შემდეგ კი დატოვა სამშობლო და იტალიაში, სახელგანთქმულ „იუვენტუსში“ გადავიდა.

„იუვენტუსში“ პლატინის წინაშე დიდი ასპარეზი გადაიშალა და ამ ნიჭიერმა ოსტატმაც კარგად გამოიყენა თავის გამოჩენის ჩინებული შესაძლებლობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მან ზედიზედ სამჯერ დაიმსახურა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი. არ დაგავიწყდეთ, რომ იტალიაში, სადაც დაცვითი ფეხბურთი ბატონობს, ყოველი გოლი განსაკუთრებით ძვირად ფასობს. თანაც პლატინი ნახევარმცველია და ძირითადად მინდვრის ცენტრში მოქმედებს. ამავე კლუბის შემადგენლობაში პლატინიმ გაიმარჯვა თასების მფლობელთა თასისა და ჩემპიონთა თასის გათამაშებებში... მაგრამ პლატინის ნამდვილ ბენეფისად გადაიქცა 1984 წელს მისსავე სამშობლოში გამართული ევროპის მეშვიდე ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. „სამფეროვნებმა“ ჯერ თავიანთ ქვეჯგუფში დაამარცხეს დანიის, იუგოსლავიისა და ბელგიის გუნდები, შემდეგ პორტუგალიელებს სძლიეს და ფინალში გავიდნენ, სადაც ესპანეთის ნაკრებს აჯობეს. ამ ხუთ მატჩში მასპინძელთა კაპიტანმა მიშელ პლატინიმ 9 (!) გოლი გაიტანა, ამასთან საგულისხმოა, რომ მან ხუთივე შეხვედრაში შეძლო მეტოქის კარის აღება! ეს ასეთი რანგის ტურნირებისთვის ფანტასტიკური შედეგია! თუნდაც მისი სხვა მიღწევები მხედველობაში არ მივიღოთ, პლატინი მარტო ამ ერთ ტურნირში ნაჩვენები ვირტუოზული თამაშით შევიდოდა ფეხბურთის ისტორიაში!

ერთხელ სახელგანთქმულმა ფრანგმა სპეციალისტმა, ერთვნული ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა მიშელ იდალგომ თავისი საყვარელი ფეხბურთელი და სეხნია ასე დაახასიათა: „ჩვენ არასოდეს გვიკლდნენ მაღალი კლასის ინდივიდუალისტები, მაგრამ პლატინი ის მოთამაშეა, რომელსაც შეუძლია თანაგუნდელთა შეკავშირება და ერთი მიზნისთვის დამორჩილება. ამასთან იგი რჩება უბრწყინვალეს სოლისტად“.

ზურაბ ფოცხვერია.

საშაადრაკო კომპოზიცია

ამოცანა — ჰიბრიდი

საოცრად მრავალფეროვანი და მდიდარია საშაადრაკო იდეების „სალარო“. პრობლემისტების და ეტიუდისტების ამოუწურავი ფანტაზია უამრავ ჩანაფიქრს ახორციელებს, მაგრამ ზოგჯერ ფანტაზია ერთი საკომპოზიციო ჟანრის ჩარჩოებში ვერ თავსდება და მაშინ ამომხსნელები უჩვეულო სინთეზის მოწმენი ხდებიან. ცნობილმა ფინელმა პრობლემისტმა მატი მილინიემიმ დაფაზე ნამდვილი „საამოცანო ჰიბრიდი“ შექმნა.

მ. მილინიემი, 1967

ამ დიაგრამაზე ერთდროულად ოთხი სხვადასხვა ჟანრის ამოცანაა წარმოდგენილი. ამასთან, თითოეული მათგანის ამოხსნაში აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა „გაცოცხლებული“ ფიგურა. **ამოცანა № 1.** შამათი 2 სვლაში. 1. e8მ e5 2. მ:c7×; **ამოცანა № 2.** თვითშამათი 2 სვლაში (შეგახსენებთ, რომ თეთრები იძულებით აშამათებინებენ თავიანთ მეფეს შავებს); 1. e8კ e5 2. კc2! e4×; **ამოცანა № 3.** ნადიშამათი 2 სვლაში (შავები იწყებენ და თეთრების დახმარებით აშამათებენ თავიანთ მეფეს): 1. e5 e8ლ 2. e4+ ლ:e4×; **ამოცანა № 4.** ნადიპატი 2 სვლაში: 1. e5 e8ე 2. e4+ ე:e4 პატი.

ამოხსენით!

საშაადრაკო კომპოზიტორები იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ხალხია. ხშირად მათ სახუმარო განწყობილება დაფაზეც გადააქვთ— ქმნიან ნაწარმოებებს, რომელთა შინაარსი ან ფორმა ღიმილს იწვევს. პირველი აპრილის მოახლოებასთან დაკავშირებით გთავაზობთ შვედი პრობლემისტის ამოცანას.

ა. კალშტრემი. 1942

მისი დავალება უჩვეულო და საკვირველია: თეთრები იწყებენ და თავიანთი ფიგურების გაუნძრევლად (!) შავ მეფეს შამათს უცხადებენ 4 სვლაში. ეცადეთ მიაგნოთ ავტორის გონებამახვილურ და იუმორისტულ ჩანაფიქრს. პასუხი გამოგვიგზავნეთ.

პლაგიატორი

საშაადრაკო კომპოზიციებს ავტორები ქმნიან, ხოლო საკომპოზიციო „კომბინაციებს“ — პლაგიატორები. მათ ხომ იოლი გზით სურთ სახელის მოხვეჭა.

ერთმა პლაგიატორმა რიგის ჟურნალ „შახმატის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მოპარული ამოცანა გაგზავნა თავისი სახელით და თავხედურად ითხოვა მისი გამოქვეყნება. ჟურნალმა ამოცანა დაბეჭდა და თან ასეთი კომენტარიც დაურთო: „სიამოვნებით ვასრულებთ თქვენს სურვილს და თანაც ბოდიშს ვახდევინებთ დამსახურებულ ოსტატ ლ. ლოშინსკის, რომელმაც ამ ამოცანის ზუსტი ასლი თქვენი ნებართვის გარეშე ჯერ კიდევ 1930 წელს დაბეჭდა. ამასთან, თქვენთვის განკუთვნილი საპატიო შეფასება, ჟურნალ „იტალია სკაკისტიკას“ კონკურსზე მიღებული აქვს ლ. ლოშინსკის. მიიღეთ ზომები!“

ამოხსნა

„ლელოს“ 15 მარტის ნომერში დაბეჭდილი ნ. ლეონტიევას სამსვლიანი ამოცანის ამოხსნა: 1. ლh1 (მუქარა 2. მფf2+) ე:f4 2. ლ:c6+ ეc4 3. ლh6×. „ქალის მიერ შედგენილი ეს ლამაზი ამოცანა იხსნება „ფიგურული სრიალით“, რომელსაც ასრულებს „თეთრი ქალბატონი“ ტოლფერდა სამკუთხედის გარშემო“ — გვწერს ამომხსნელი პაატა ნიშნიანიძე (ახალი თერჯოლა, თერჯოლის რ.).

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც სხვებზე ადრე გამოგვიგზავნა სწორი პასუხი: ნანა ჭკადუა (სოხუმი), ქეთინო, ლია და ეკა კანდელაკიშვილები (ძველი ანაგა, სიღნაღის რ), ნ. კახიძე, ნ. და თ. დიასამიძეები (ყველა — ბათუმი), თ. თათრიშვილი (საგარეჯო), ა. მელქაძე (ქუთაისი), ვ. ბოჭორიშვილი (თერჯოლა), ე. საბეკია (კირცხი, ჩხოროწყუს რ.), ლალი ხიზანიშვილი, ა. მიშველაძე, ტ. გიგუაშვილი, ვ. შავგულიძე (ყველა — თბილისი).

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 22 მარტს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, მეთორმეტე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან. გაიყიდა 1.003.144 ბარათი.

6 ბარათი ვერავინ ვერ გამოიცნო. 5 ბარათის გამოცნობისთვის (54 ბარათი) მოგება — 1.414 მანეთია, ოთხისთვის (2 651) — 34, სამისთვის (44.801) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 9 243 352 ბარათი.

5 ციფრის გამოცნობისთვის (21 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (2 937) — 304, სამისთვის (128 445) — 13.

მეთორმეტე ტირაჟების ბარათებზე მოგება გაიცემა 6 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 74)

29 მარტი

რეგბი

საბჭოთა კავშირის პირველობა

„შევარდენი“ (თბილისი) — სამხედრო-საჰაერო აკადემია (მონინო)

დასაწყისი 15 საათზე.

* * *

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — ეტს (კრასნოიარსკი)

დასაწყისი 17 საათზე.

თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი (წერეთლის გამზირი № 2)

3 აპრილი ● ფეხბურთი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)

დასაწყისი 19 საათზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები სტადიონის სალაროებში გაიყიდება 29 მარტიდან, ორგანიზაციებში — 30 მარტიდან.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებისა და სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალაროს. აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

სალაროები ღიაა 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14-15 ს.). ძალაშია 13 მარტით დათარიღებული ბილეთები.

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი 2 აპრილს გაიმართება ქ. მცხეთის სტადიონზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06848